განკარგულება:**g-17. 17232653**
თარიღი:**22/09/2023**

დაბა ბაკურიანში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისათვის (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) და დავით აღმაშენებლის ქუჩის ნაწილისათვის სახელწოდების ცვლილების და გოდერძის ჩოხელის სახელწოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვის და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სამთავრობო კომისიის 2023 წლის 21 აგვისტოს N38 ოქმის საფუძველზე

1. დაბა ბაკურიანში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტებს (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) ასევე აღმაშენებლის ქუჩის ნაწილს შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს:

ა) გოდერძი ჩოხელის სახელობის ქუჩა დანართი N1 შესაბამისად;

ბ) გოდერძი ჩოხელის ქუჩის I შესახვევი დანართი N2 შესაბამისად;

გ) გოდერძი ჩოხელის ქუჩის II შესახვევი დანართი N3 შესაბამისად;

დ) გოდერძი ჩოხელის ქუჩის I ჩიხი დანართი N4 შესაბამისად;

ე) გოდერძი ჩოხელის ქუჩის II ჩიხი დანართი N5 შესაბამისად;

ვ) გოდერძი ჩოხელის ქუჩის III ჩიხი დანართი N6 შესაბამისად;

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

4. განკარგულება რეაგირებისათვის გაეგზავნოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ᵃ).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის სახელობის ქუჩის გავრცელების არეალი

გოდერძი ჩოხელის ქუჩა იწყება 64.30.14.403 მიწის ნაკვეთთან, გაივლის 64.30.04.429 და 64.30.10.073 მიწის ნაკვეთებას და 64.30.10.151, 64.30.10.136 მიწის ნაკვეთების გავლით გრძელდება სამხრეთით კვეთავს აღმაშნებლის ქუჩას, გაივლის 64.30.11.196, 64.30.04.663, 64.30.04.142 და 64.30.11.208 მიწის ნაკვეთებს და დასრულდება 64.30.11.012 მიწის ნაკვეთთან

დანართი N2

დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის სახელობის ქუჩის
I შესახვევის გავრცელების არეალი

გოდერძი ჩოხელის I შესახვევი იწყება 64.30.11.025 და 64.30.04.730 მიწის ნაკვეთებთან, გაივლის 64.30.04.938 და 64.30.04.487 მიწის ნაკვეთებს და სრულდება 64.30.04.487 ნაკვეთთან

დანართი N3

დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის სახელობის ქუჩის II შესახვევის გავრცელების არეალი

გოდერძი ჩოხელის II შესახვევი იწყება 64.30.04.441 და 64.30.11.062 მიწის ნკავეთებთან, გაივლის 64.30.04.067 და 64.30.04.700 მიწის ნაკვეთებს და სრულდება დიდველის სახელობის ქუჩასთან

დანართი N4

დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის სახელობის ქუჩის
I ჩიხის გავრცელების არეალი

გოდერძი ჩოხელის I ჩიხი იწყება 64.30.11.058 მიწის ნაკვეთიდან და სრულდება 64.30.04.331 მიწის ნაკვეთთან

დანართი N5

დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის სახელობის ქუჩის
II ჩიხის გავრცელების არეალი

გოდერძი ჩოხელის II ჩიხი იწყება 64.30.04.270 და 64.30.11.018 მიწის ნაკვეთებიდან და სრულდება 64.30.11.019 მიწის ნაკვეთთან

დანართი N6

დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის სახელობის ქუჩის
III ჩიხის გავრცელების არეალი

გოდერძი ჩოხელის III ჩიხი იწყება 64.30.04.377 მიწის ნაკვეთთან, გაივლის 64.30.04.031 მიწის ნაკვეთს და სრულდება 64.30.11.239 მიწის ნაკვეთთან